



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 124

2014 წლის 03 თებერვალი

ქ. თბილისი

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით
2014 წლის კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო
ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო
ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2
პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით 2014
წლის კონკურსის შედეგად დაფინანსებულმა პროექტების წარმდგენმა საჯარო სკოლებმა საგრანტო
ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში
(შემდგომში - ფონდი) 2014 წლის 3 დეკემბრიდან 8 დეკემბრის 18:00 სთ ჩათვლით უნდა
წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ);
- ბ) საჯარო სკოლის დირექტორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სრული ასლი;
- გ) საჯარო სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) პროექტის მეცნიერ ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის პირადობის
დამადასტურებელი დოკუმენტების სრული ასლები და მათი პირადი ანგარიშის ნომრები (გაცემული
ბანკის მიერ).

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 8 დეკემბრიდან 10
დეკემბრისავე ჩათვლით.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. ბოკუჩავას) წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე
განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12
კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი